+ პროექტის სახელწოდება	ინტლექტუალური თამაში „რა ,სად,როდის“
პროექტში მონაწილეები	ლენტეხის მუნიციპალიტეტის ალ.ონიანის სახელობის სოფ.ჟახუნდერის საჯარო საჯარო სკოლის მოსწავლეები
პრობლემის ანალიზი	იმისათვის რომ ჩვენი მოსწავლეები საზოგადოების ჯანსაღ მოქალაქეებად ჩამოვაყალიბოთ,ძალიან მნიშვნელოვანია რომ მათ სკოლაშივე ვასწავლოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის მნიშვნელოვანი პერიოდები;.ამის განხორციელება კი შესაძლებელია საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობებით
პროექტის მიზანი	საქართველოს ისტორიული წარსულის სიღრმისეული შესწავლა
პროექტის ამოცანები	მშობლიური ქვეყნის ისტორიული და კულტურული ღირებულებების ცოდნა
მოსალოდნელი შედეგები	მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ შემდეგი კომპეტენციები: ❖ მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და კულტურის დაფასება ❖ 1918-24 წლების ისტორიული მოვლენების სიღრისეული გააზრება და შესწავლა ❖ თანამშრომლობითი უნარების განვითარება ❖ მსოფლიოს შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება

მიზნობრივი ჯგუფი	IX,X,XI კლასის მოსწავლეები
პროექტის მსვლელობა	➢ მოსწავლეებისათვის პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა ➢ 1918-24 წწ აჯანყების ეტაპებზე მუშაობა ➢ რეგიონალური ტურისთვის მზადება(ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ➢ რეგიონალური ტურის გამარჯვებულების შემდეგ ტურში გადასვლა ➢ მეორე ეტაპისთვის მზადება(თბილისი,სასტუმრო „ბილტმორი“) ➢ ბოლო ეტაპი-გამარჯვებულების დაჯილდოება(სიგელი)

პროექტის ბმული:

https://www.facebook.com/story.php?story_fbid=1701910173678821&id=100015795630004&mibextid=xfxF2i&rdid=hJ7CEqzqsNdkNh0r

https://www.facebook.com/story.php?story_fbid=1670257223510783&id=100015795630004&mibextid=xfxF2i&rdid=DJz03OOrFpXI4Wuz

რეფლექსია

2023-2024 სასწავლო წელს, ლენტეხის მუნიციპალიტეტში გამოცხადდა კონკურსი 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების 100 წლისთავთან დაკავშირებით. ამ კონკურსში ჩაერთვნენ ჟახუნდერის საჯარო სკოლის მე-9, მე-10, მე-11 კლასების მოსწავლეები ისტორიის მასწავლებელ ქალბატონ ლილი ჭელიძის ხელმძღვანელობით. კონკურსის მიზანი იყო 1918-1924 წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენების სიღრმისეული შესწავლა.

კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდა. I ეტაპი ჩატარდა ქალაქ ქუთაისში სადაც მონაწილეობას იღებდა დასავლეთ საქართველოდან 253 საჯარო სკოლა და მათ შორის 40 გამარჯვებული სკოლა გადადიოდა II ეტაპზე სადაც ჩვენმა მოსწავლეებმა აიღეს საპრიზო ადგილი.

კონკურსში მითითებული მასალის მიხედვით, მოსწავლეებმა მასწავლებლის ხელმძღვანებლობით დაიწყეს 1918-1924 წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-ისტორიული მოვლენების შესწავლა. ჯგუფისთვის ერთადერთი პრობლემა იყო დროის ფაქტორი, რადგან მასალები გვიან შემოვიდა და კონკურსი მალევე გამოცხადდა. მიუხედავად დროის სიმცირისა მოსწავლეებმა კარგად გაართვეს თავი და კონკურსის პირველი ეტაპი წარმატებით გადალახეს.

კონკურსის მეორე ეტაპისთვის მზადება ჩვენს მოსწავლეებს ისევ შეზღუდულ დროში მოუწიათ, რადგანაც გაკვეთილების პარალელურად უწევდათ მუშაობა.

კონკურსის დასკვნით ეტაპზე ჩვენმა სკოლამ საპრიზო ადგილი მოიპოვა. „რა? სად? როდის?“ წამყვანმა, ბატონმა გიორგი მოსიძემ განსაკუთრებული ხაზი გაუსვა მაღალმთიანი რეგიონის სოფ.ჟახუნდერის საჯარო სკოლის მოსწავლეების მაღალი მომზადების დონეს და სიმბოლური საჩუქრები გადასცა მათ.